№ 5 იანვარი 9, ხუთშაბათი. 1886 იანვარი 9, ხუთშაბათი № 5.

გაზეთი ღირს:					
თთვე	მან.	კ.	თთვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი. სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. 1877—1886 წელიწადი.

ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА ЕЖЕДНЕВНУЮ ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ

„КАВКАЗЪ"

на 1886 годъ (41 годъ изданія).

Въ 1886 году газета «КАВКАЗЪ» будетъ выходить по прежней программѣ и подъ прежнею редакціею ежедневно не исключая и понедѣльниковъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА.

съ достакою въ тифлисѣ:

На годъ	11 р. 50 к.
› полгода	6 р. — ›
› 3 мѣсяца	3 р. 50 к.
› 1 мѣсяцъ	1 р. 50 к.

съ пересылкою

по имперіи	по почтовому союзу
13 р.	18 р. 40 к.
7 р.	10 р. — ›
4 р.	6 р. — ›
1 р. 75 к.	2 р. — ›

подписка принимается исключительно въ Конторѣ редакціи. Тифлисъ, уголъ Головинскаго проспекта и Барятинской улицы, домъ Ротинова. Для иногор. адресовать: *Тифлисъ. Въ Редакцію газеты «КАВКАЗЪ».*

ტფილისი, 8 იანვარს.

თუმცა ინგლისში ვიგებმა, ესე იგი, ლიბერალებმა ამ ბოლოხანდელს არჩევანზე გაიმარჯვეს, მაგრამ არც ისეთი გამარჯვებაა, რომ ტორებმა, ესე იგი, კონსერვატორებმა, ეხლავე ადგილი დაუთმონ და დაემორჩილონ გამარჯვებულთა დრომდე მაინც. ვიგების დეპუტატთა რიცხვი ბევრით არ არის გადაჭარბებული ტორების დეპუტატთა რიცხვზედ და შეიძლება ამ უკანასკნელთა რიცხვზედაც ნაკლები იყოს, თუ ირლანდიელების მოთავე პარნელი ირლანდიიდამ წარმოგზავნილ დეპუტატებით ტორებს მიემხრო. პარნელი თავის თანა-მემამულეთა დეპუტატებით ეხლა ინგლისის პარლამენტში დიდს როლსა ჰჳთამაშობს. ამიტომაც ორის დიდის დასის მოთავენი ერთის მხრით ვიგებისა—სახელ-განთქმული გლადსტონი, მეორის მხრით ტორებისა—დაუძინებელი მტერი რუსეთისა სალიუსბერი დღეს სულ იმის ცდაში არიან, როგორმე მოიმხრონ პარნელი. პარნელი, რომელიც დიდი ხანია იბრძვის, რათა თავის მამულს, ირლანდიას, თვით-მმართებლობა და საკუთარი პარლამენტი მიანიჭოს, კარგად ჰხედავს დღევანდელის დღის ვითარებას და, რასაკვირველია, თავისის ქვეყნის დეპუტატების ხმას იმას მიუმატებს, ვინც მისის ქვეყნის საკეთილოდ ბევრს რასმეს დაჰპირდება. ამბობენ გლადსტონი უკვე დაჰპირებია თვით-მმართებლობას და საკუთარს პარლამენტს ირლანდიისათვის. ამ ამბავმა მთელი ინგლისი შეაძრწუნა; თვით გლადსტონის ზოგიერთნი ერთგულნი მომხრენი გადუდგნენ ამ შემთხვევაში გლადსტონს და ემდურიან, რომ რასაც დაჰპირებიხარ, მაგისი შესრულება ინგლისის ძლიერებას ძირს მოუთხრისო. დანარჩენნი მომხრენი კი პასუხად ამბობენ, ავსტრიელებიც ერთს დროს ამას ამბობდნენ, როცა ვენგრიამ საკუთარი სამინისტრო და პარლამენტი მოითხოვაო, მაგრამ ავსტრიის მთავრობა ამას არ შეუშინდაო და ეხლა ყველასათვის ცხადიაო, რომ ავსტრია დღეს უფრო ძლიერია, ვიდრე მანამდე იყოვო.

ასეა თუ ისე, დღეს ორი უმთავრესი დასი ინგლისის ბედის გამგეობაში პარნელს ელაქუცებიან თავისკენ გადმობირებისათვის. ეს ამბავი აბრკოლებს ეხლანდელს სამინისტროს სალიუსბერისას, რომ თამამად ვერ გამოუდგამს ფეხი ბალკანიის საქმის შესახებ, ხოლო სალიუსბერი, რომლის პირველი და უკანასკნელი სურვილია ჯერ სამთა იმპერატორთა ზავი გაარღვიოს და მერე შეუდგეს რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებას, მაინც თავისას არ იშლის, რაგი ნახა, რომ სხვა სახელმწიფოთა მეცადინეობით ლამის ბოლგარიის და სერბიის მორიგება მოხდეს, ლამის ბოლგარიის და რუმელიის შეერთებამ უსისხლოდ და უომრად ჩაიაროს, საბერძნეთს აუკვიატდა და აქ აღუვებს ცეცხლსა. ინგლისი არამც თუ ხელს უწყობს საბერძნეთს შეიარაღებაში, არამედ ეხლახან გამოჰსარჩლებია კიდეც სულთანის წინაშე და უშუამდგომელია საბერძნეთს დაუთმოს რამე ოსმალომ. თუ ესე არ იყოს, ძნელი დასაჯერია, რომ პატარა და თითქმის უღონო საბერძნეთმა ასეთი ჯიუტობა გასწიოს, დღე უოველ მუქარას ითვლევინებოდეს.

სულთანის სამინისტროს უპასუხნია, რომ ჩვენ საბერძნეთის შეიარაღებაზედ აქამომდე ხმას არ ვიღებდითო. თუ საბერძნეთი გაკადნიერდება და ომს გაგვიბედამსო, ჩვენი მთელი მხედრობა ზედ მიესევაო, რადგანაც დღეს გარემოება და ვითარება ამისათვის ხელს გვიწყობსო. მოუსვენარი ინგლისი, რასაკვირველია, ამას არ იგმარებს და ერთხელ გაღუებულს ცეცხლს, სამთა იმპერატორთა ზავის დამრღვევსა, ადვილად არ ჩააქრობინებს არავის, თუ ნამეტნავად სალიუსბერი დარჩა სამინისტროს მოთავეთ.

ინგლისში დღეს ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ ავღანისტანის მორიგება სადღე-ხვალიო საქმეა, დროებითია. რუსეთმა რაკი სამხრეთ აღმოსავლეთის სამზღვარზედ ფეხი მოიკიდაო, წინ ინდოეთისაკენ უნდა წაიწიოსო და ამიტომაც სალიუსბერის სამინისტროს აზრათა აქვს აქამდე ყოფილი სამხედრო წესი ინგლისისა ისე შეიცვალოს როგორც ევროპაშიო. რადგანაც ამ ახალის წესის დადგენა და გამთავრება დიდს დროს მოითხოვსო და საქმეთა მიმავლობა არ დაგვაცლისო, ამიტომაც დღესვე შეჰსდგომიან ინდოეთის ჯარის გაძლიერებას.

დღეს ინგლისელებს ინდოეთში სულ 60,000 ჯარის კაცი ჰყავთ ევროპიელნი, 125,000 ინდოელნი, გარდა ამისა ვოლონტერები, სამხედრო პოლიცია, ინგლისის მორჩილ სამთავროების ჯარი—სულ 500,000 კაცამდე. ამაზედ მეტი რაღა უნდათო, იტყვის მკითხველი. რიცხვი დიდია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამოდენა ჯარში სულ 185,000 კაცია კარგად და რიგიანად გაწურთვნილი და საომრად სავარგისი. აქედამ 100,000 კაცი შინ მშვიდობის და წესიერების დასაცველად დანიშნულია, ასე რომ სულ 85,000 კაციღა ჰრჩებათ საომრად გამოსაყვანი. ეხლა თურმე ამზადებენ მისამატებლად 32,500 კარგად გაწურთვნილ ჯარს, ყველაფრით გაწყობილს, კარგად შეიარაღებულს თოფითა და ზარბაზნითა...

დეპეშა

იანვრის 6.

სოფია. ბოლგარია გერმანიის წინადადებისამებრ დასთანხმდა, რომ ბუქარესტში გაიმართოს მოლაპარაკება მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად.

ათინა. საბერძნეთმა უარი შემოუთვალა სახელმწიფოებს, რომელთაც ერთობილის ნოტით მოსთხოვეს თოფ-იარაღის აყრა და საბუთად ამას ამბობს, რომ რუმელიის და ბოლგარიის გაერთების გამო წარმომდგარი საქმე ჯერ არ გათავებულაო.

პარიჟი. პრინცი ნაპოლეონი მალიან ავად არის.

ცეტინიე. ჩერნოგორიის (შავმთის) ოფიციალური გაზეთი ამბობს, რომ მთავარი წაბრძანებულა იტალიას

ფელეტონი

ტფილისიდამ თეირანს.

(წერილი მეგობართან).

ბოდიშს ვიხდი, ჩემო ჰამზა, რომ წერილი დაგიგვიანე. მარტო ჩემი ბრალი როდია. გაზეთმა «ჯამბაზმა» ცოტა არ იყოს მაწყევინა და თავი დავანებე. სხვა გაზეთი გურჯებს არა აქვთ. ეხლა ჟურნალი «გურჯისტანი» გაზეთად გადააკეთეს და ჩემს წერილებს ამ გაზეთში წაიკითხამ ხოლმე. არ ვიცი კი როგორ იქნება ჩემი საქმე. მაგრამ ჩემი «მე» ვის რად ეპრიანება. საყურადღებო ის უფროა—«გურჯისტანი» და საზოგადოება ერთი-ერთმანეთთან როგორ მოთავსდებიან, რა ნაირი დამოკიდებულება ჩამოვარდება იმათ შორის. აქამდისინ კი რაც ყოფილა და გვინახავს, დიდის იმედი არ უნდა გვქონდეს. ყური მათხოვე. საქმე რაშია: აქ, გურჯისტანში, ჩემო ჰამზა, საზოგადოება და მწერლობა ყონაღები არ არიან. გაზეთია თუ ჟურნალი, თავისთვის ცალკე სცხოვრობს. საზოგადოება კიდევ ცალკე გაქიმულა და ღოინჯ-შემოყრილი გულ-გრილად დასცქერის ჟურნალსაც და გაზეთსაც. საზოგადოების და მწერლობის შორის საერთო არა არის-რა, მათ შორის არ არსებობს ის ზნეობრივი კავშირი, რომელიც მწერლობას აფრთოვანებს და საზოგადოებას აცხოველებს. ყველგან, სადაც საზოგადოება განვითარებულია გონებით და ზნეობრივად, მწერლობასაც ძალ-ღონე ემატება, იქ მწერლობა დღითი-დღე იზრდება, ვაჟ-კაცობით იმოსება, მამაცობას და გმირობას იჩენს. ისე არა ჰკლავს-რა და არ აკლებს მწერლობას, როგორც საზოგადოების გულ-გრილობა. გატეხილი უნდა გითხრა, ჩემო ჰამზა, რომ მე ამ გულგრილობის მეტს ვერასა ვხედავ აქაურს საზოგადოებაში. აქ ჯერაც არ იციან, რომ მშობლიური მწერლობა საზოგადოებისათვის მიუცილებელს საჭიროებას შეადგენს და თითონ მწერალი საზოგადოების ღვიძლი ძმაა, მისი საჭიროების და მოთხოვნილების გამომთქმელი, გამომხატველი. მაგრამ შენ, ჰამზა, ლიტონი სიტყვისა არა გწამს-რა, ყველაფერს ეჭვიანად უცქერი და პირზედ ფილოსოფოსის სიტყვები გაკერია: «ეჭვი გზაა ჭეშმარიტებისა მიმართ». საქმეს, მაგალითებს ითხოვ. აი თუ გინდა: გურჯისტანს ამ ოც-და-ათი წლის განმავლობაში საკმაოდ უნახავს ჟურნალ-გაზეთები, მაგრამ იშვიათად თუ რომელსამე ჟურნალ-გაზეთს უხეირნია, იშვიათად დიდ ხანს უცოცხლია. თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთი უღღეოდ დაბადებულა და თუმცა მუცელს არ გადაჰყოლია, მაგრამ მალე, ძლიერ მალე კი განუტევებია სული. აქ საზოგადოება რა შუაშია, რით და როგორ არის დამნაშავე?—მკითხამ შენ. მომითმინე, ჩემო ჰამზა. ნუ აჩქარდები. მართალია, ჟურნალ-გაზეთის დღეგრძელობა, მისი ძალა და ღონე თითონ მისი საკუთარი საქმეა; მართალია, თითონ დრო-გამოშვებითი გამოცემა უნდა იყოს შემკული ყოველგვარი თვისებით, რომ საზოგადოებაში იხეიროს და ხანგრძლივი სიცოცხლე შეიძინოს. ულირსად და ულოდინარად დაწყებულს საქმეს დიდი დღე არა აქვს. ესევე უნდა ითქვას ლიტერატურულ საქმეზედაც. იმის მაგალითებიც საკმაოდ მოიპოვება, რომ აქ, გურჯისტანში, ყველა «არა მკითხე—მოამბე» ადვილად ჰკიდებს ხელს რედაქტორობას, აფუძნებს ჟურნალს, გაზეთს, სცემს კრებულებს. მართალია, აქაურს მოღვაწე პირებს, საზოგადოებრივის აზრის ცრუ-ბელადებს ადვილ საქმეთ მიაჩნია ასეთი მძიმე ხელობა, როგორიც რედაქტორობაა, მაგრამ ყოველივე ეს სრულებითაც არ არღვევს ჩემს აზრს: საზოგადოების გულ-გრილობას მწერლობისადმი და ამის გამო მწერლობის სისუსტეს. და რომ ეს სწორედ ისეა, როგორც მე ვამბობ, იმითაც მტკიცდება, რომ ხეირიანად, ცოდნიერად დაწყებულს საქმესაც ხშირად ბოლო ვერ გაუტანია და მალე მოსპობილა. რადა? მათა, რომ, როგორც გაკვრით შევნიშნე, ყველა საზოგადო საქმე და კერძოდ ვადა-დანიშნული მწერლობაც თხოულობს საზოგადოების თანაგრძნობას, დახმარებას, გამხნევებას და სხვ. და სადაც ასე არ არის, იქ თითონ საქმეს ძირი ეთხრება და ბოლოც მალე ელება. მართლა და, ვისგან შესდგება აქაური მკითხველი საზოგადოება? ნივთიერად ვინ ასაზრდოებს აქაურს ჟურნალს, გაზეთს? შენ, ჩემო ჰამზა, ეს კითხვა სასაცილოდ არა გყოფნის და უადგილოდ მიგაჩნია, რადგანაც კარგად იცი, რომ ვადა-დანიშნული მწერლობა ნივთიერად ცოცხლობს საზოგადოებისაგან. მაგრამ აქ ასე როდი გახლავს. სასაცილო კი არა, სამწუხარო ის არის, რომ აქ უმეტეს ნაწილად თითონ მწერლები არიან მწერლებიც და მკითხველნიც. საუცხოვო სანახავია, შენმა მზემ! შენვე სწერე და შენვე დაიბარე გაზეთი, შენვე იკითხე შენი ნაწარმოები. საზოგადოების უმეტესობა კი განზედ სდგას და არც კი იცის: რა იწერება და სად იწერება. მოდი ამის შემდეგ და დაიწყე ლაპარაკი, რომ საზოგადოების აზრი არ იზრდება, მწერლობა მოკლებულია ზნეობრივს გავლენას, აღმზრდელობის მნიშვნელობას!.. როგორ, რა გზით აღიზრდება საზოგადოებრივი აზრი, როცა საზოგადობა ისე ერიდება მწერლობას, როგორც მკეთროვანს?!..

ამის შემდეგ, ჩემო ჰამზა, შენც ადვილად მიხვდები, რა პატივი და დიდება აყრია აქაურს მწერალს. მწერალს მწერლად იცნობენ მარტო პატარა ლიტერატურულ წრეში. საზო-

საფრანგეთში სასოფლო მეურნეობის და მრეწველობის შესასწავლელად, რათა ხელი შეუწყოს თავის სამთავროს მშვიდობიანად წინ-მსვლელობისათვის. შავი მთა საკმაოდ შეთოფ-იარაღებულია, ბევრი კეთილის-მყოფელი ჰყავს, მეზობლებთან კარგად განწყობილია და ამის გამო გარემოება ნებას აძლევს მშვიდობიანად წარმართოს თავისი შინაური საქმეები.

ახალი ამბავი

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ სოფ. ენისელში, თ. გიორგი ჯორჯაძის დასაფლავების დროს რაღაც უწესოება მომხდარა და ამის გამო გუშინ დილით თვითონ გუბერნატორი წაბძანებულა.

*** მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას საქართველოს არქიელს პავლეს მოუწვევია ყველა სასულიერო სასწავლებელთა მასწავლებელნი ხალხისათვის სამოძღვრებლად კვირა-უქმე დღეებში. კითხვანი და მოძღვრებანი დაიწყობა ამ იანვრის 12-დამ და გაგრძელდება მთელი წელიწადი. მასწავლებელთა ქართველთა უნდა იმოძღვრონ ქართულს ენაზე და რუსთა—რუსულზე. ტფილისის სასულიერო სასწავლებლის ქართველი მასწავლებელნი დანიშნულნი არიან საქადაგებლად და სამოძღვრებლად ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში და რუსნი კი კუკიის ალექსანდრე ნეველისაში.

მასწავლებლებს გარდა სხვა-და-სხვა ეკკლესიებში ამავე აზრით დანიშნულნი არიან სასულიერო პირნიც.

*** თელავში, როგორც «ნოვოე ობოზრენიეს» სწერენ, ერთ ახალ გაზდა ქალს, ოსანა არუთინოვისას, თავის მოკვლა მოუწადნია და ხანჯალი დაუცია ფერდში. თავის მკვლელობის მიზეზი, როგორც ამბობენ, უიმედო სიყვარული ყოფილა.

*** გორიდამ ატყობინებენ იმავე გაზეთს, რომ, ამ ხნებში, სამოქალაქო სასწავლებლის შენობის ახლო, მიწის თხრის დროს, უპოვნიათ დამარხული პატარა ყმაწვილის გვამი. ჰფიქრობენ, რომ ეს ყმაწვილი მოკლული უნდა იყოსო.

*** ხაშურის სტანციაში ამას წინად, საღამოს ხუთ საათზე, სამწუხარო შემთხვევა მომხდარა: ორთქლით მატარებელს ლიანდაგზე მიმავალი გლეხი არსენა გვეძე გაუჭყლეტია.

*** 7 იანვარს პეტერბურგის ბირჟაზედ ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის ბილეთებში იძლეოდნენ ათთუმნიანში $92^{1}/_{4}$ მან. და გამცემელნი არ იყვნენ. აგრეთვე ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის ბილეთებში უძლევიათ 91 მან., მაგრამ გამსყიდველნი არა ყოფილან.

ნაკვესი

აკაკის ჩაი მოართვეს სამეგრელოში. შაქარი დაეწყებოდათ, თუ როგორღაც იყო, აკაკიმ ზედი-ზედ ერთი და იგივე სტაქნისთვის სამჯერ მოითხოვა შაქარი.

—რამდენიც უნდა შაქარი ჩააგდო, რა კი შენი ენა მოსვდება, გამწარდებაო, უთხრა პოეტს მასპინძლის ახალ-გაზდა ქალმა.

მოისეი ზახარიჩ არგუთინსკი—დოლგორუკი, თამარ-ხან-შურაში იყო დაღესტნის მმართველად. ამ დროს ჩამოვიდა შურაში ერთი მისი თბილისელი ნაცნობი, ყორღანოვი.

«მოიკითხეს, ილაღობეს» და შემდეგ დაღესტნის გმირმა ჰკითხა მეგობარს:

— რას ამბობენ ჩემზე ქალაქში?

— არაფერს.

— არა მაინც?

— მოგახსენე, არაფერს.

— არა, თუ ღმერთი გწამს.

— ასე მოგახსენებენ: დახე მაგ ჩვენი მოსეს, რა ამბავში არისო!

დაბა და სოფელი

ზაქათალა. (კორრესპონდენცია «ივერიისა»). თავის სიმდიდრით ჩვენი მაზრა არ ჩამოუვარდება არც ერთ კუთხეს მშვენიერის ივერიისას. ეს ქვეყანა ძველი დროიდგანვე ცნობილი იყო თავის აუარებელი სიმდიდრით. რომაელნი, ბერძენნი და სხვანი განცვიფრებაში მოჰყავდა ალბანიის, ესე იგი ზაქათალის, სიღნაღის და ნუხის მაზრების სიმდიდრესა და ნაყოფიერებას.

და მართლაც, რა გინდათ სულით და გულით, რომ ამ მაზრაში გასაკვირველის სიძვირით და სიუხვით არ მოდიოდეს! აბრეშუმი, ბამბა, ხორბალი (ყოველ-გვარი), ხილი მრავალ-გვარი, ბოსტნეულობა, ღვინო, თაფლი, ენდრო, ფრთოსანი, ნადირი, შინაური პირუტყვი, თევზი, ერთის სიტყვით, რაც კი რამ ღმერთს გაუჩენია სიმდიდრისათვის დედა-მიწის ზურგზედ, ყველა ის ჩვენს ქვეყანაში მრავლობით აღმოცენებულა და მოგვარებულა.— უხვად მოდის აქ: რამდენიმე ჯურა ბრინჯი, სხვათა შორის, ქალაქის ბაზარში ცნობილი «ზარნა»; ფეტვის და ქერის გარდა, სამ-ოთხ ნაირი პურის ხორბალი; ყურძენიც მრავალ-ნაირი გვარობს არა თუ ბაღებში, არამედ მინდვრათაც და ღვინოც, თუმცა კარგად, საქმის ცოდნით ვერ აყენებენ, მაგრამ მაინც კეთილ-გამოვანი და სასიამოვნო სასმელი გამოდის. წაბლი, კაკალი, თხილი (შარუგლი), ლეღვი, ბროწეული, ვარდი,— რომელსაც ზოგიერთ ქვეყნებში თვალის სალხინებლად სახლებში და ორანჟერეებში ფაქიზად ინახვენ და უვლიან—აქ, ამ ღვთისგან დალოცვილს მხარეს, არა თუ სარობს ბაღებსა და წალკოტებში, არამედ მინდორ-ველებშიაც კი ზოგიერთგან მთელი ტყეებია წაბლისა, კაკლისა, თხილისა, თუთუბოსი, სურმისა, ლეღვისა, ზღმარტლისა და სხვა-და-სხვა გვარ მცენარეებს ხომ თქმა აღარ უნდა.

რა გვარი ხე გაუჩენია ღმერთს, რომ აქ ვერ მონახოთ. თვით მთაშიც კორდები და მთელი ველი ალაზნის მარცხენა პირიდგან მოკიდებული კავკასიონამდის შემოსილია დიდებულის ტყით. შიგა-და-შიგ მოჩანან დიდრონი სოფლები. ტყისა და ქვის სიუხვისაგამო სახლებს ქვიტკირისას და ხისას აშენებენ ყველგან და არ არის მაგალითი, რომ ხალხი სადმე მიწურებში სცხოვრებდეს, როგორც ქართლ-სომხითშია.

მეტად და აუცილებლად საჭიროა ამ ქვეყნის კეთილ-დღეობისა და წარმატებისათვის, რომ რკინის გზა ჰქონდეს. უგზო-უკვლობისა და უბაზრობისა გამო ყოველ-გვარი ნაწარმოები შთება აქავე, ან ჩალის ფასად გადადის დალალების ხელში. ამით აიხსნება უმთავრესად ის გარემოება, რომ ამისთანა მდიდარი ქვეყნის მცხოვრებნი, შედარებით, ღარიბ-ღატაკნი არიან. რკინის გზა (თუ ოდესმე კახეთიდამ გამოიყვანენ ჩვენკენ) აქაურ მცხოვრებთ მისცემს შეძლებას ბაზრად გაიტანოს: ხორბალი, მატყლი, ღვინო, აბრეშუმი (ნუხური), შალები, ტყე, წვრილი და სხვილი საქონელი, ენდრო, ბამბა, თაფლი, ხილი, ზეთი (ფუთი ნიგვზის ზეთი ფასობს ქალაქში 15 მ.), ბრინჯი და სხვ. რკინის გზის შემწეობით ყოველ-გვარნი სწავლულნი ადვილად შემოვლენ აქაურის სპილენძის, ვეცხლის და ოქროს მადნების აღმოსაჩენად *), რომელნიც ახლა უწარმოებლად და უსარგებლოდ ჰყრიან, მეტად სამკურნალო წყლები (ელისოსი, ალიბეგლოსი, ვარდოვანისა და სხვანი) უეჭველად მიიზიდვენ დიდ ძალ ხალხსა და შესაძლებელიც არის, რომ მალე, როდესაც ეს ქვეყანა ეღირსება რკინის გზას, ელისომ და ზოგიერთ სხვა ადგილებმა მეტოქეობა გაუწიონ აბასთუმანსა და ბორჯომსა. აქ 67,000 მცხოვრებია და ამოდენა მაზრაში მხოლოდ სამი სასწავლებელია: 1 სამაზრო და ორიც სასოფლო!

ღმერთმა ჰქნას, რომ ჩვენი და ყოველ მხრივად ხელ-უხლებელი მაზრა ამის შემდეგ მაინც წარმატებაში შევიდეს.

გიორგელი.

*) ამ გვარი მადნების ნიშნები რამდენსამე ღელეში უკვე ამოუჩხრეკიათ.

დამაკვირდი!

თუმის ბედია—თუ დაჰკდა
კარგი რამ გამგებელია;
კაცი თავისა ურგებია,
სხვისი რა მარგებელია.

(მეფე ვახტანგ VI.)

*
**

ადამიანი თავის თავს [illegible] არა გონების თვალით, არამედ გამოცდილებით, ისიც მხოლოდ მაშინ, როცა შეუდგება მოვალეობის აღსრულებას.

(გეტე)

***

ბედნიერია იგი, ვისაც ისე უყვარს სხვა, რომ მარტო ერთის მისის ხსენებით იწვრთობოდეს და კეთდებოდეს. ვისაც ნიჭი აქვს სხვის ამისთანა სიყვარულისა, იგი თვითონც მალე შეიქმნება ღირსი თაყვანის-ცემისა.

(სენეკა).

***

ყველაზედ უკეთესი კილო სიტყვებისა არის ხერხი, რომლის შემწეობითაც კაცი ადამიანის გულის-ყურს მალად მიიზიდავს და შეიპყრობს და ადვილად გააგებინებს ნათქვამს.

(ტენი).

***

უნდა შეუნდოთ და მიუტეოთ ხოლმე მტერსა, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაცი ჩამოახრჩობენ.

(ჰეინე).

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ.)

რუსეთის გამოჩენილმა მწერალმა, ლ. ტოლსტოიმ, რომლის უკანასკნელ ყოფა-ქცევაზედ და ლიტერატურულ შრომაზედ დიდი სჯა და ბაასი ჰქონდა ამას წინედ რუსულს ჟურნალ-გაზეთობას, დაბეჭდა ამ ბოლო დროს «Русское Богатство»-ში ერთი წერილი ეგრეთ წოდებულ «კეთილ-მომქმედ» კაცთა შესახებ. ამ წერილში სახელოვანი აზრთა-მკვლევი ცოცხლად ჰხატავს იმ განსხვავებას, რომელიც ჰსუფევს მაღალ და დაბალ წოდების კაცთა შორის. გრაფი ტოლსტოი ამბობს:

«ამას წინედ შემდეგი შემთხვევა მოხდა: სამი წელიწადია მას აქეთ, მე და ორი გლეხი ვხერხდით ერთად შეშას. როგორღაც ერთხელ, შაბათ დღეს, დალამებისას, ჩვენ გავემგზავრეთ ქალაქისაკენ. ჩემი ამხანაგები მიეშურებოდნენ გასამრჯელოს ასაღებად. რო-

გადოება ჯერ თავის მწერლებს ვერ იცნობს და თანამედროვე შესანიშნავი პოეტი, ბელეტრისტი, პედაგოგი და სხ. რომ აილო და ჰკითხო: იცნობთ ამასა და ამასაო, გასტერებული, პირ-ღია დაგიწყებენ ცქერასა. გარწმუნებ, ჰამზა, რომ არც ერთს აქაურს მწერალს არ ეთქმის საერო მწერალი, თუმცა მოიპოვებიან ისეთი მწერლები, რომელნიც საერო კილოთი და საერო გემოვნებაზე ესაუბრებიან საზოგადოებას. დიაღ, ჩემო ჰამზა, აქ ჯერ კიდევ მწერლობას არ გაუკვლევია გზა საზოგადოებაში, არ დაუჭერია საპატიო ადგილი. განათლებული საზოგადოების, თუ გნებავს, ინტელიგენციის უმრავლესობა უნდო თვალით უცქერის თავისას და სულიერს საზრდოს უცხოეთელს მწერლობაში ჰპოვებს. აქაური წარჩინებული ხანების ოჯახი რომ აილო, განათლებული გურჯი-მოხელე რომ გაიცნო, გურჯისტანელისას ინჩსაც ვერ გაიგონებ,—სულ უცხოებური, სხვაგნებური!.. მე აქ ვერა გამიგია-რა. სწორედ ბაბილონის გოდოლი და ენათა შეშლა მაგონდება, როცა ვაკვირდები აქაურის ლიტერატურის და საზოგადოების დამოკიდებულებას. თუ ეს დამოკიდებულება მალე არ გამოიცვალა, შენი მტერი იყოს, რომ აქაურს მწერლობას საქმე დაემართება!...

მაგრამ იქნება იფიქრო, ჰამზა, მე აქაურ საზოგადოებას იმიტომ ვამტყუვნებ, რომ ის თავისას არ მისდევს. ღმერთმა დამიფაროს! მე კარგად ვიცი, რომ სხვაგნებურიც საჭიროა, მეტადრე გურჯისათვის, რომელსაც თავისი საკუთარი ცოტა აქვს. შემცდარია და გაბრიყვებული ის საზოგადოება, რომელსაც კრუხივით დაუბუდნია პაწია მამულის-შვილობის საბუდარში და თავისის გარედ არა სწამს-რა, არა ესმის-რა. ეს ხომ თვით სიბრიყვეა და თან ცუდი შედეგიც მოსდევს. არა, ჩემო ჰამზა, მამულის-შვილობა და კრუხ-წიწილების დაბუდება საბუდარში ერთი და იგივე როდია. ყველა შეგნებული საზოგადოება სხვისასაც უნდა თვალს ადევნებდეს, სხვაგნებურს სწავლობდეს, სხვისაგან იღებდეს, რაც კარგი და მოსაწონია, რაც სასარგებლო და გამოსაყენებელია. მაგრამ ამასთან მამა-პაპის სულიც უნდა ახსოვდეს, თავისიც უნდა უყვარდეს. მე აქაურს საზოგადოებას თუ ვამტყუვნებ მარტო იმიტომ, რომ მამა-პაპის სული გაუშვია განა ვსტყუი? შენც დამეთანხმები, რომ თავისის დავიწყება, სხვათა შორის, ჰბადავს იმ სამწუხარო დამოკიდებულებას მწერლობის და საზოგადოების შორის, რომელიც ზემოდ ვუჩვენე. ეს კიდევ არაფერი. საქმე ის არის, რომ საზოგადოება დამნაშავეთ არა ჰხდის თავის თავს და თითონ მწერლობას სდებს ბრალს. რა ვქნათ, რა ვიკითხოთ, როცა არაფერს სწერთო; გურჯისტანული მწერლობა საზრდოს არ იძლევა, მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებსო—ასე გაიძახიან საზოგადოებაში. ზოგიერთებს კიდევ ხელზედ დაუხვევიათ ვიღაცა მეცნიერის დარვინ ოლლის რაღაცა კანონი». არა, ჩემო ჰამზა, აქ კი პატიოსანი გრძნობა ღელავს. მწერლობა ხომ, სხვათა შორის, გამამშვენებელია და აღმზრდელი საზოგადოების ზნეობისა და გონების განვითარებისა. მე თუ მკითხავ, ჩემო ჰამზა, იმ აზრისა ვარ, რომ საზოგადოება უცხოებურ დაწინაურებულს მწერლობაში უნდა ჰპოვებდეს საშუალებას თავისის საკუთარის მწერლობის ასაღორძინებლად, ასაყვავებლად. ასე ყოფილა ყველგან, სადაც კი ესმით მწერლობის დიდი მნიშვნელობა. აქ კი, გურჯისტანში. მოდი და გაიგე რამე! მართალია, ჩემო ჰამზა, რომ აქაური მწერლობა არ აძლევს საკმაო საზრდოს ზოგიერთებს, რომელთაც ნება აქვთ ბევრი მოსთხოვონ მწერლობას, მაგრამ როდი უნდა დაივიწყონ ისიც, რომ ნორჩს ბევრი არა მოეთხოვება-რა. ნორჩი იმის ნორჩია, რომ ხელი შეუწყონ, გზაზედ ჩამოაცალონ ყოველ-ნაირი დაბრკოლება, რომელიც მას აღზრდას და დავაჟკაცებას უშლის..

საზოგადოების უმრავლესობას კი არც «ეს კანონი» ესმის და არც ლიტერატურული საზრდოს გემოსი გაეგება რამე. რომ იტყვიან სძინავსო, სწორედ ამ უმრავლესობაზედ იტყვიან. მაგრამ ნუ იფიქრებ ვითომ მე მარტო გლეხობაზედ ვლაპარაკობდე. არა, მე ვლაპარაკობ იმათზედაც, რომელთაც ეკუთვნიან დიდი და წვრილი ბეგები და სხვა ისინი, ვინც კი რითიმე გაირჩევიან გლეხობისაგან და დაუბუდნიათ სოფლებში. ამათ, თუმცა შეძლებაც აქვსთ და მოცლაც, რომ ტვინი აავარჯიშონ, მაგრამ ამას არას დაგიდევენ. ესენი მარტო ხორცს დამორჩილებიან და სულისთვის თავი დაუნებებიათ. ამ მხრივ ეს ნაწილი საზოგადოებისა ბევრით ვერაფრით გაირჩევა გლეხებისაგან. მშვიდობით, ჩემო ჰამზა. ჩემის წერილის პასუხში მისაყვედურებ, რომ მე მოძღვრის კილოთი ვიწერები. ეჰ, ძმაო, დაგვიწყებია, ვინ და რა ხელობის კაცი გწერს წერილებს, განა არ იცი, ვინა ვარ.

მოლა ბაშირ.

ტფილისი
8 რები ულ ახირ.
1303 ჰიჯრისა.

გორც კი მივაღწიეთ დრაგომილოვის ხიდთან, წინ შემოგვეგებათ ჩვენ ვილაც მოხუცი, რომელმაც გვთხოვა მოწყალება და რომელსაც მე მივაწოდე ერთი აბაზი. მე მივეცი ეს ფული და თან გავივლე გულში, რომ ჩემი მოქმედება ძალიან მოსაწონი უნდა იქნეს სიმონას თვალში, რომელთანაც რამდენიმე წამით წინ მე მქონდა ლაპარაკი «სალმთო» საგნებზედ. სიმონამ, ვლადიმირელ გლეხმა, რომელსაც ჰყავდა მოსკოვში ცოლი და ორი შვილი, გადმოიკეცა კალთა, ჩაიყო ჯიბეში ხელი და ამოიღო იქედამ ქისა, რომელშიაც მონახა სამი კაპიკი, მიაწოდა ის გლახას და უთხრა: აჰა, ერთი შენ და ორი დამიბრუნე უკანო. მოხუცმა ამის პასუხად ამოიღო და უჩვენა ხელზედ ორი სამ-კაპეიკიანი და ერთი ერთ კაპეიკიანი. სიმონმა შეხედა გლახას და დააპირა ჯერ კაპეიკიანის აღება, მაგრამ მერე ცოტა ხანს დაიჭმუჭნა, ხურდა აღარ აიღო, იმ ერთს კაპეიკიანსაც თავი დაანება და, გადიწერა რა პირს ჯვარი, გაუდგა თავის გზას.

გლეხის ამ გვარი ყოფა-ქცევის დასაფასებლად, ტოლსტოი ამბობს მისს ავლა-დიდებაზედ, რომელიც თურმე იმ დღეს ადებული—ექვს მანეთ-ნახევარი ყოფილა, ერთის კვირის ნაღვაწი.

«ჩემი სიმდიდრე კი, განაგრძობს ტოლსტოი, აღემატება ექვსასი ათასს მანეთს. მეცა მყავს ცოლშვილი და სიმონასაც. ის ჩემზედ უფრო ახალგაზდაა და ამისათვის შვილებიც უფრო ცოტა ჰყავს, მაგრამ ჩემი შვილები უფრო მოზრდილნი არიან და მუშაობა შეუძლიანთ, მაშასადამე ჩემი და სიმონას მდგომარეობა ამ მხრით ერთნაირად უნდა ჩაითვალოს, ჩემი თითქმის უფრო საუკეთესოდაც. მან მისცა გლახას სამი კაპეიკი, მე კი აბაზი. მაშ, გავსინჯოთ ეხლა, რა მისცა მან და რა ვუწყალობე მე? რა უნდა მიმეცა მე გლახისათვის, ისე რომ მოვქცეულიყავ, როგორც სიმონა? მას ჰქონდა ექვსასი კაპეიკი, რომლიდამაც მან გაჰსცა ერთი და კიდევ ორი კაპეიკი. მე კი მაქვს ექვსას ათას მანეთის შეძლება. მაშასადამე მე უნდა მიმეცა გლახისათვის ექვსი ათასი მანეთი და ორი ათასის ხურდა უნდა მომეთხოვა და, თუ ეს მას არ ექნებოდა, ისიც უნდა დამეთმო მისთვის, უნდა გადამეწერა შემდეგ პირჯვარი და მშვიდობიანი ბაასით მასზედ, თუ როგორ ჰსცხოვრობენ ფაბრიკებში და როგორ ფასობს ელენთა საყასბოში, უნდა წავსულიყავ ჩემი გზით.»

რას იტყვით ამაზედ თქვენ, მკითხველო?

* *
*

უკანასკნელი ნომერი ლონდონელი «*Times*»-ისა სავსეა სხვა და სხვა წერილებით ირლანდიის საქმეთა შესახებ. მეთაურ წერილში, რომელსაც ჰქვია: «*What home vule means*» (რას ნიშნავს თვით-მართველობა?) «*Times*»-ს მოჰყავს ერთი მამულის მოყვარე მღვდლის სიტყვები: «მიეცით ირლანდიელებს რასაც თხოულობენ (*Home vule*) და მათი ქვეყანა აჰყვავდება სრულიად, მათი მწირი მთეები გადაკეთდებიან ყანებათ, მათი ჭაობები გაშრებიან, მათი მდინარეები მათ ჭირნახულს გაიტანენ უცხო ქვეყნებშიდ და სხვა. «*Times*»-ს არა ჰჯერა ეს სიტყვები, რადგანც მისი ფიქრით ირლანდია მეტად ღარიბი ქვეყანაა, რომელსაც არც ფული გააჩნია და არც ნდობა აქვს. ამასთან ისიც უნდა მოვიხსენოთ, რომ ინგლისური გაზეთი დიდის ყურადღებით და გულსმოდგინეობით ექცევა ამ საგანს და მის კეთილსინდისიან გამოსაკვლევად ადგილს აძლევს თავის ფურცლებზედ სხვა და სხვა აზრთა მიმდინარეობას.

ამ წერილთა შორის საყურადღებოა წერილი ჰერცოგის *Argyll*-ისა, რომელიც ცდილობს დაამტკიცოს, რომ საზოგადოებრივი აზრი ინგლისისა ჯერ საკმაოდ არ არის მომწიფებული ირლანდიის საქმეთა გადასაწყვეტად და ამისთვის ინგლისის სახელმწიფო კაცთა უნდა გამოიჩინონ შესაფერი შორს მხედველობა და მაინცდამაინც არ უნდა აჰყვნენო ჯერჯერობით ირლანდიელების სურვილს. სხვა წერილთა ავტორები ლაპარაკობენ იმ ავსა და კარგზედ, რომელიც შეუძლია მოიტანოს ინგლისისათვის ირლანდიელთ წადილის ასრულებამ. ამ გვარი სხვა და სხვაობა ერთსა და იმავე საგნის შესახებ ამტკიცებს, რომ ირლანდიის საქმე ჯერ კიდევ დიდხანს არ იქნება გადაწყვეტილი.

უცხო ქვეყნები.

(მოწერილი ამბავი).

პარიჟი. 9 იანვარს («ივერიის» საკუთარი კორესპონდენტისაგან.)

წარსულის წლის 6 აპრილს შემდგარი სამინისტრო იმავე წლის ბოლოს გადგა. გადადგომის მიზეზი იყო სულ უკანასკნელად, ტონკინის საქმის გადაწყვეტა, რომელმაც დეპუტატები ორს თანასწორს რაზმად გაჰყო. თუმცა მართებლობის სურვილმა გაიმარჯვა, მაგრამ გამარჯვება ძალიან სუსტი იყო, რადგან ერთმა ხმამ დასძლია მარტო. იმისთანა შემთხვევაში, როდესაც პარლამენტში სამინისტრო რამდენისამე ხმით მძლეველობს, მართებლობა ჩვეულებრივ თავს ანებებს თანამდებობას და გადადგება ხოლმე. ბრისონის სამინისტროს ამ გარემოებასთან სხვა გარემოებაც დაერთო, რომელმაც მისცა მას გადადგომის მიზეზი. ეს იყო რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევა.

პრეზიდენტი იარჩევა შვიდის წლობით და რაკი ჟულ გრევი 1879 წლის იანვრის 30 იყო ამორჩეული, მას ვადა გასდიოდა ამ წლის იანვრის გასულს. ამიტომაც სენატის თავმჯდომარემ, რომელსაც აქვს არჩევნის დროს დანიშვნის უფლება, ქრისტიშობისთვის 28 მოიწვია კონგრესი ანუ საერთო კრება პრეზიდენტის ამოსარჩევად. კონგრესი შესდგება დეპუტატების და სენატორების საერთო კრებისგან. ჩვეულებრივ კრებას ვერსალში მოახდენენ ხოლმე და თავმჯდომარეობს სენატის თავმჯდომარე. პრეზიდენტი იარჩევა ხმათა უმეტესობით. რესპუბლიკელების უმეტესს ნაწილს კანდიდატად ისევ ჟულ გრევი ჰყავდა, ზოგიერთებმა კი დაასახელეს მინისტრთა რჩევის თავმჯდომარე ბ. ბრისონი, უცხოეთის საქმეთა მინისტრი ბ. ფრეისინე, დეპუტატი ბ. დე ლა ფორჟი და სენატის თავმჯდომარე ბ. დე რუაიე. მონარქიელებსაც თავისი საკუთარი კანდიდატი ჰყვანდათ. ხოლო მონარქიელებს არ მიუღიათ ამორჩევაში მონაწილეობა.

მონარქიელებმა განიზრახეს კონგრესის გახსნისას საერთო პროტესტის გამოცხადება იმის შესახებ, რომ არჩევანი ხდებოდა მაშინ, როდესაც ოთხის დეპარტამენტის დეპუტატებს ვერ შეეძლოთ მონაწილეობის მიღება. ეს დეპუტატები იყვნენ მონარქიელები და პალატისაგან არ შეწყნარებულნი უწესურად არჩევანისა გამო. მონარქიელები იფხოვდნენ პრეზიდენტის არჩევნის გადადებას იმ დრომდე, ვიდრე ამ დეპარტამენტებში დეპუტატების ხელ-ახლად არჩევანი არ მოხდებოდა. კონგრესის თავმჯდომარემ მათ ორატორს ლაპარაკის ნება არ მისცა და ამის გამო მონარქიელებმა სულ უარი ჰსთქვეს მონაწილეობის მიღებაზე. ჟულ გრევი იქმნა ამორჩეული მარტო რესპუბლიკელებისაგან დიდის უმრავლესობით.

ჟულ გრევი ძალზედ მოხუცებულია (თითქმის ოთხმოცის წლისაა) და ძალიან პატივ-ცემულია ყველა დასებისგან, მეტადრე რადიკალებს მოსწონთ, რადგან ის თავის ქცევით უმტკიცებს მათ, რომ პრეზიდენტობა სრულიად მეტი დაწესებულებაა. ის არაფერ საქმეში არ ერევა, ხოლო ყურადღებით ადევნებს თვალს საზოგადო აზრის მიმართულებას პარლამენტში და იმის შესაფერს მინისტრებს მოიწვევს ხოლმე საქმეების განსაგებლად. თვით ჟულ გრევი შესანიშნავია თავის წინადადებით, რომელიც იმან შეიტანა საერთო კრებაში 1848 წელს. ეს წინადადება, რომელსაც ფრანგები ეძახიან «*Amendement Jules Grevy*», მდგომარეობდა იმაში, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტობა მოსპობილიყო.

კონსტიტუციის ძალით პრეზიდენტი მთელის საფრანგეთის ერის გამომხატველია უცხოეთის წინაშე. იმის სახელით ხდება უცხო სახელმწიფოებთან დამოკიდებულება. შინაურს პოლიტიკაში იმის საქმეა მინისტრების მოწვევა და მათის დეკრეტების ხელის მოწერა. ის არის ხელ-შეუხებელი და პასუხ-უგებელი; მას აქვს დამნაშავეთა შეწყალების უფლება. ჯამაგირად ეძლევა ერთი მილიონი და ორს მილიონამდე მისს სასახლეზე იხარჯება.

პრეზიდენტის არჩევა მოიმიზეზა ბ. ბრისონმა და, როგორც მიღებულია ამ გვარებში, გადადგომა ითხოვა. თუმცა პრეზიდენტმა სთხოვა დარჩენილიყო, მაგრამ მან გადაწყვეტილი უარი უთხრა. ამ უარის თქმის მიზეზი იყო, როგორც ვთქვით, პარლამენტის გადაწყვეტილება ტონკინის შესახებ. სამინისტრომ მოსთხოვა პარლამენტს ტონკინისთვის დასახარჯი ფულები, რადგან აპრილში ჩინეთთან შეკრულის პირობის ძალით ეს ქვეყანა ფრანგებს დარჩათ. პარლამენტში ტონკინის შემოერთებას ძალიან ბევრი მოწინაღმდეგე ჰყვანდა და ამიტომ იქ დასახარჯს ფულებს ისე უცებ ვერ მისცემდენ, ვიდრე ცალკე კომისია არ გამოიკვლევდა დაწვრილებით ტონკინის საქმეს და მის მოხსენებას არ მოისმენდნენ. ამიტომ აირჩიეს კომისია 33 წევრისგან შემდგარი. კომისიამ მოახდინა დაწვრილებული გამოკვლევა და თავის მოხსენებაში გამოსთქვა, რომ საფრანგეთმა, უკეთესია, ტონკინზედ ხელი აიღოსო. მარტო ექვსი წევრი იყო ამ დასკვნის წინააღმდეგი. ამ საქმის საბოლოოდ გადაწყვეტას პარლამენტმა სამი დღე მოანდომა. ბევრმა ორატორმა ილაპარაკა წინააღმდეგ თუ სასარგებლოდ. მართებლობის სამმა წევრმა—ბრისონმა, მინისტრთა რჩევის თავმჯდომარემ, ფრეისინემ—უცხოეთის საქმეთა მინისტრმა და კამპენონმა (?)—სამხედრო მინისტრმა, იხმარეს მთელი თავისი მჭევრმეტყველება* და გავლენა ტონკინის შემოერთების სასარგებლოდ. საქმე კენჭის ყრაზე რო მიდგა, აღმოჩნდა, რომ ტონკინის შემოერთება გადაწყდა ოთხის ხმის უმეტესობით. შემდეგში გამოდგა, რომ ოთხის ხმის მაგიერ უმეტესობას ერთის ხმით დაუძლია, რადგან ორის დეპუტატის წინააღმდეგი ხმა ძალად გაუქარწყლებიათ და ერთი კენჭიც ძალად ჩაუგდიათ იმ დეპუტატის სახელით, რომელიც საფრანგეთში არც კი იმყოფებოდა.

ამ სახით ბ. ბრისონი ტონკინის მსხვერპლი გახდა. ტონკინის შემოერთების წინააღმდეგნი იყვნენ ყველა მონარქიელები (ერთის გარდა) და ის რესპუბლიკელები, რომელნიც უმწვერვალესს მარცხნულს დასში არიან. ამ შემთხვევამ შეკრა პარლამენტის ორი უმწვერვალესი და სრულიად ერთმანერთის წინააღმდეგი დასი. რა იყო ამის მიზეზი? იმ პარლამენტში, რომელმაც ეხლანდელს დაუთმო ადგილი, მონარქიელები რიცხვით 80-ს არ აღემატებოდნენ; ეხლა კი ისინი 200-მდე არიან. რამ გაამრავლა ასე? ამის პასუხად საჭიროა აქ მოკლედ მოვიხსენიო დეპუტატების არჩევანები გასულის წლის ღვინობის თვეში.

მონარქიელებმა საშინელი მხნეობა და გამჭრიახობა გამოიჩინეს ხალხის საარჩევნოდ მომზადებისათვის. ჯერ ერთი რომ ყველგან მონარქიელების სხვა-და-სხვა დასები შეერთდნენ და საერთო კანდიდატების სიები დაადგინეს. სიტყვით თუ კალმით დაიწყეს იმის ქადაგება, რომ რესპუბლიკამ ხალხს შეწუხების მეტი არა მოუტანა-რაო. მაგალითად მოჰყავთ ვაჭრობის, ხელობის, მრეწველობის და მეურნეობის დაფოლვა, უფულობა, სიძვირე და დაუსრულებელი ტონკინის ომი. მეტადრე ამ ომს ჩავჭიდენ და ყოველივე უბედურება მაგას მიაწერეს. ტონკინზე ხელის აღება, მშვიდობიანობის ჩამოგდება და საფრანგეთის შვილების სისხლის ღვრის მოსპობა ყველა მონარქიელმა კანდიდატმა პირობად დაუდო ამომრჩევლებს. უმეტეს ნაწილად მონარქიელებს მოწინააღმდეგედ ის ოპორტუნისტ-რესპუბლიკელები ჰყვანდენ, რომელთაც ამოდენა უბედურება ჰბრალდებოდათ. ცხადია, მონარქიელები გაიმარჯვებდნენ და კიდეც გაიმარჯვეს: 80-ის მაგიერ ახალს პარლამენტში 200 მეტი მონარქიელი ამორჩეულ-იქმნა. მეორე მხრით ამ ნაირივე გამარჯვება რადიკალებს დარჩათ. წინანდელს პარლამენტში თუ ისინი 90-ს არ აჭარბებდნენ, ეხლა იმათმა რიცხვმა 200-დის მიაღწია. ესენიც არჩევნების დროს ტონკინის წინააღმდეგებათ აცხადებდნენ თავს. დარჩა წაგებული ოპორტუნისტების დასი, რომელმაც ჩაიდინა დიდი დანაშაული, რომ საფრანგეთს თავს მოახვია ტონკინის საქმე.

როცა საქმე მიდგა ტონკინის საქმის საბოლოოდ გადაწყვეტაზე, მონარქიელები ერთ-ხმად წინა-აღუდგენ შემოერთებას, რადგან ამას მოითხოვდა პოლიტიკური მოსაზრება მათ დასის გასამტკიცებლად. რადიკალები-კი, რომელიც უმწვერვალესს დასს არ ეკუთვნოდენ, ეროვნებურს გრძნობას და უფრო სხვა მოსაზრებას გაჰყვნენ, როცა შემოერთების სასარგებლოდ მისცეს ხმა.

შემოერთების მოწინააღმდეგეებს მოჰყავდათ საბუთად ის, რომ, პირველად, ტონკინი, როგორც კოლონია, საფრანგეთისთვის უსარგებლო და გამოუყენებელია, და მეორედ, ტონკინის შემოერთება გამოიწვევს მომავალში ომს ჩინეთთან, რომელიც თავს-საცემი გახდება საფრანგეთისთვის. შემოერთების მომხრენი თუმცა ამ საფუძვლებს ვერ არღვევენ, მაგრამ ამტკიცებენ, რომ ხელის აღება დაპყრობილს ქვეყანაზე ეროვნობის გრძნობის წინააღმდეგია, რომ ამით საფრანგეთი დაჰკარგავს თავის გავლენას მთელს აზიაში და სხვა კოლონიებში აჯანყებას მოავლენსო. ამასთან კიდევ უმატებენ, რომ ჩვენგან დატოვებულს ტონკინს სხვა სახელმწიფო დაიჭერსო, მაგ. გერმანია, და ეს ხომ ფრანგებს ჭკუაში არ მოსდით.

შარშანდელმა არჩევანმა საგრძნობლად შესცვალა პარლამენტში დასთა ძალ-ღონე. პარლამენტი ეხლა თითქმის სამს თანასწორს დასად იყოფება: მონარქიელები (ორასამდე), რადიკალები (გვენიც ორასამდე) და ზომიერები ანუ ოპორტუნისტები. დეპუტატების რიცხვი სულ 584 არის. რესპუბლიკელებს არა ჰყავთ ერთი ისეთი დასი, რომელიც პარლამენტში უმეტესობას შეადგენდეს. წინანდელს პარლამენტში 550 წევრზე 300 ოპორტუნისტი იყო და საქმეებიც იმათ ნებაზე მიდიოდა. ეხლა, რადგან მათ ბევრი ადგილი დაჰკარგეს, საჭიროა რადიკალებთან დაიჭირონ მჭიდრო კავშირი, რომ მონარქიელებმა არ გამოიყენონ რესპუბლიკელების განხეთქილება.

ამ საჭიროებას ყველანი ჰგრძნობენ და პრეზიდენტმაც იმისთანა კაცს მიანდო ახალის სამინისტროს შედგენა, რომლისგანაც მოელიან ყველა რესპუბლიკელების შეერთებას. ახალი მთავარ-მინისტრი არის უცხოეთის საქმეთა მინისტრი ბ. ფრეისინე, რომელმაც ერთის კვირის ცდის შემდეგ შეადგინა ახალი სამინისტრო ყველა რესპუბლიკელთ წარმომადგენელთაგან. ბრისონის სამინისტროს ხუთი წევრია და ექვსიც ახალი. მინისტრების უმეტესობა რადიკალს მარცხნულს ეკუთვნის, რამდენიმე ოპორტუნისტია და ერთიც უმწვერვალესის მარცხნულის წევრი. ეს პირველი მაგალითია, რომ უმწვერვალესის მარცხნულის წევრი მინისტრად გამხდარიყოს.

თვით მთავარ-მინისტრი ყველასგან მოწონებული და პატივ-ცემული კაცია. იგი არის თავაზიანი და მოხერხებული. ადვილად მოელიან მისგან სხვა-და-სხვა დასების დაახლოვებას. იმისგან მონარქიელის დეპუტატების დაცხრომის იმედიც კი აქვთ. რადიკალებიც შემწეობას ჰპირდებიან, თუ მან მოჰკიდა ხელი იმ რეფორმების განხორციელებას, რომლებიც მათ პროგრამმის არსებას შეადგენენ.

დ. კ—შვილი.

ბიბლიოგრაფიული ცნობა.

1) ჩუბინოვის ახალი ლექსიკონი. ამას წინად რუსული გაზეთები გვაცნობებდნენ, ვითომც ბ. დავით ჩუბინოვს ახალი თავისი ლექსიკონი დაებეჭდოს პეტერბურგში; მაგრამ ეს ცნობა უსაფუძვლო ცნობაა. ჩვენ გვწერენ, რომ იგი მხოლოდ ამ ცოტა ხანში შესდგომია საქმეს. როგორც დარწმუნებით ვიცით, ხსენებული ლექსიკონი დიდის ხნის ნაშრომია და კაი-ხანიც არის, რაც გათავებულია. ამ ექვსი-შვიდის წლის წინად ავტორმა ის წარუდგინა სამეცნიერო აკადემიას დასაბეჭდათ; მაგრამ რადგანაც აკადემიამ მოითხოვა მისი შემოკლება, ბ. დავითმა ამაზე უარი გამოაცხადა და ლექსიკონი ისევ დაიბრუნა. იმ დროს განსვენებული ბროსსე თავის წერილში ბ. დ. ბაქრაძეს დიდათ უქებდა ამ შრომას და აცნობებდა, რომ იგი არისო დაფუძნებული ლიტრეს ლექსიკონის სისტემაზე. ლიტრეს ფრანციული ლექსიკონი, რომელიც ახლა ყველა მეცნიერს ხელში აქვს, მთელს ევროპაში გასაოცარი შრომაა, რომელსაც ლიტრემ მარტოდ-მარტომ მიჰყო ხელი შემდეგ იმისა, როდესაც ამ გვარი შრომა სახელოვანმა სამეცნიერო აკადემიამ პარიჟისამ შეუძლებელ საქმედ აღიარა და ლიტრემ იგი 40 წლის განმავლობაში შეასრულა და დააგვირგვინა. ამ ლექსიკონში თქვენ წინ იხატება სრული ისტორიული სურათი თვითოეულის ლექ-

სისა ანუ სიტყვისა: საიდამ და როგორ წარმოსდგა იგი, რა განსხვავებით იხმარება ერთისა და იმავე ტომის სხვა-და-სხვა თემებსა, სხვა-და-სხვა ენებში და თვით გამოხენილთა მწერალთაგან საუკუნოების განმავლობაში. ამასთანავე ლიტრეს შემოაქვს თვით მწერალთა ფრაზები და წყაროებსაც უჩვენებს.

რაღა თქმა უნდა, რომ ამ გვარი შრომა, თუ შესაძლებელი საქმეა მისი აღსრულებაში მოყვანა, დიდი განძია ლიტერატურისათვის. პეტერბურგში ბევრია ქართული წიგნთა საცავები; თვით ბ. ჩუბინოვს აქვს საკუთარი დიდი ქართული ბიბლიოთეკა. მაშასადამე იქ საკმაოა მასალა. თუმცა ჩვენ იმისი ახალი ლექსიკონი არ გვინახავს, მაგრამ იმედი გვაქვს, საზოგადო აზრი ამ საგანზე და მეტადრე ისეთის მეცნიერისა, როგორიც იყო ბროსსე, უსაფუძვლო არ იქნება. ჩვენ გვაცნობებენ, რომ ავტორმა მიჰყო ხელი ამ შრომის ბეჭდვას წარსულს სექტემბერს და აზრათ აქვსო იგი ლივრეზონებათ ანუ რვეულ-რვეულათ გამოსცესო. ეს უკანასკნელი აზრი დიალ მოსაწონი აზრია. რა საკვირველია, ჩვენ ვერ მოვითხოვთ, რომ ეს დიდი შრომა ორ-სამ წელიწადს დაიბეჭდოს და ამისთვის საზოგადო ინტერესი ითხოვს, რომ იგი ლივრეზონებათ გამოიცეს და ხელის-მოწერა შესდგეს ცალკ-ცალკე ლივრეზონებზე. ეს წესი ახლა გავრცელებულია მთელს ევროპაში. თუ ბ-ნმა ჩუბინოვმა ამ საგანზე თავის განზრახვა არ უარ-ჰყო, ჩვენს აზრს ამ შრომის ხასიათზე და ღირსებაზე დაწვრილებით ვაცნობებთ «ივერიის» მკითხველს, რაკი პირველი ლივრეზონი ბეჭდვიდამ გამოვა.

2) სახალხო ლექსები მოხევეთა და მოხევის სიმღერები. ბევრი ამ პაწია წიგნში მოქცეული ლექსები ეცნობება ჟურნალ «ივერიის» მკითხველს, სადაც მარშან იყვნენ დაბეჭდილნი, თუმცა ბევრს ახალსაც შეჰხვდება. თვითონ ლექსების ღირსებაზე, როგორც შეუდარებელ სალხის გენიის ნაწარმოებზე, ჩვენ არაფერს ვიტყვით. ვურჩევთ მხოლოდ ყველას, მოიპოვონ ეს პაწია წიგნი (სულ ორი შაური ღირს) და რამდენჯერმე გადიკითხონ.

აქ არ შემიძლიან ერთი ორიოდე ლექსი მაინც არ მოვიყვანო ნიმუშად; არ ვიცი კი რომელი ვამჯობინო: ერთი ერთმანეთზე უმჯობესნი არიან. ალალბედზე ვხსნი წიგნსა და მე-7 გვერდიდამ შემდეგი ლექსი მომყავს:

ქალავ, მაგ შენმა თვალებმა
გულს მზისა შუქი ახარა;
გამსხლტი და სხოზედ გასთხოვდი,
ჯავრმა შვილდ-ისავით მომხარა.

აი ან კიდევ მე-15 გვერდზედ:

ქალავ, მითხარი «შენი ვარ»,
გულს რაღად დამეხურები?..
მთას თუ მზის შუქი ათბუნებს,
ნისლით არ დაიბურება.

რომელი ნაფიცი პოეტი არ ინატრებს, რომ ოდესმე მისმა მუზამ აღიროსოს მას ესეთი უებარი და მოსწრებული შედარება! ამ წიგნის ბოლოს ჩართულია ორი ლექსი, რომელიც, როგორც გვითხრეს, ამ ლექსების შემკრებლს, ბ. მოხევის კალამს ეკუთვნისო. თუ ეს მართალია, მაშ მივულოცავთ ბ. მოხევეს და გულით ვისურვებთ, რომ ავტორი ამ ორ ლექსზე არ დადგეს და არ აუქციოს ეროვნებულ გილოს, რომელიც ესე მშვენივრად და ხელოვნურად გამოჰკრთის ნათქვამ ლექსებში.

3) შალვას თავ-გადასავალი. ცახელისა. (საჩუქრად პატარა ბავშვებს).

დიდის სიამოვნებით გადვიკითხეთ ეს პატარა, კოხტად და სუფთად გამოცემული წიგნი. წიგნში ჩართულია სურათები. წიგნი მკვირცხლი, ცოცხალი ლექსით და ყმაწვილებისთვის ადვილად გასაგების ენით არის დაწერილი. თვითონ ლექსების შინაარსის შესახებ ერთი ნაკლულევანება უნდა შევნიშნოთ: როდესაც ამ ლექსებს ჰკითხულობთ, მაშინვე თვალწინ გიდგებათ, თითქოს შალვას თავ-გადასავალი და ოინები სადღაც რუსულ ქრისტომატიებში და საყმაწვილო წიგნებში წაგვეკითხოთ. მართალია თვითონ ავტორი წიგნის სათაურის შენიშვნაში ამბობს: «ამ წიგნის აზრი და სურათები გადმოღებულია და გადმოკეთებული რუსულისგან»-ო, მაგრამ ჩემგან ნაჩვენები ნაკლულევანება მაინც ნაკლულევანებათ რჩება: წიგნს თავისებურობა აკლია.

ბ. ცახელი ჯერ ახლად იწყობს წერას, ბევრი დრო უდევს კიდევ წინ: ვურჩევთ დააკვირდეს, შეისწავლოს კარგად ქართველების ცხოვრება და იმედი გვექნება, რომ მაშინ უფრო უკეთესს საჩუქარს შემოიტანს ჩვენ ღარიბ საყმაწვილო ლიტერატურაში.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ **1886** წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი — უოჱ = 478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მბ = 42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3,

უველიერი მოდის 16 ფებერვალს, დიდ-მარხვა — 23 ფებერვალს, აღდგომა — 13 აპრილს, ამაღლება — 22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა — 1 ივნისს, ამავ დღიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

იანვარი 31 დღით არის.

8 დღე ოთხშაბათი. ღირსისა გიორგი ხოზივიტელისა, წმ. აბო სპარსისა, წამებულ იქმნა ტფილისს 790 წ. მეტეხის ახლოს, ავლაბრის ხიდის ყურთან, საცა ეწლა ნიშია. აბოს გვამი დამარხულია ქართლში სოფ. არბოს ეკლესიაში; სომეხთა: მე-3 დღე შობისა და ნათლის-ღების შემდეგ. საღამოზედ ნახატონაკია. კათოლიკეთა: აბატის სევერინისა და ფელიქსისა. მაჰმადიანთა: მე-15 დღე რები-ულ-ახირის თვისა, 1303 ჰიჯრისა.

მიიცვალა ქართლის მეფე თეიმურაზ ქ. ასტრახანს. ერეკლე II გამეფდა ქართლსა და კახეთში 1762 წ.

ჭეშმარიტი შუა-დღე 12—11—19. ტფილისში მზე ამოდის 7—22; ჩადის 4—59. მთვარე ამოდის 6—48; ჩადის 7—23. მთვარე 16 დღისაა. 10 საათ. 44 წ. დ. ტფილისში იწყება გავსება მთვარისა.

9 დღე ხუთშაბათი, წმ. მოწ. პოლიევკტოსი. კათოლ. მარციანისა და სალვისი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—11—36 ტფილისში მზე ამოდის 7—22; ჩადის 5—1; მთვარე ამოდის 7—59 ღამ., ჩადის 8—5

10 დღე პარასკევი. წმ. გრიგოლ ნოსელისა. კათოლ. ამატონისა და ეპ. ვილჰელმისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—11—52. ტფილისში მზე ამოდის 7—22; ჩადის 5—2. მთვარე ამოდის 9—10 ღამ., ჩადის 8—44.

11 დღე შაბათი. დღეობა თეოდოსე დიდისა. კათოლ. გიგინისა და მონორატისა.

გარდაიცვალა მეფე ქართლისა ერეკლე 1789 წ.

ჭეშმარიტი შუა-დღე 12—12—8. ტფილისში მზე ამოდის 7—21; ჩადის 5—3. მთვარე ამოდის 10—19 ღ., ჩადის 9—23.

12 დღე კვირა, წმ. ქალწულ-მოწამისა ტატიანასი. კათოლ. არკადისა და ლუკრეციისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—12—22. ტფილისში მზე ამოდის 7—20; ჩადის 5—5. მთვარე ამოდის 11—24 ღ., ჩადის 9—59.

13 დღე ორშაბათი, წმ. მოწ. ერმილე, სტრატონიკე. სომეხთა: სახელწოდება, წინადაცვეთა უფლისა. ნახატონაკი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—12—36. ტფილისში მზე ამოდის 7—19; ჩადის 5—6. მთვარე ამოდის 11—24; ჩადის 10—34.

გამოსადეგი ცნობანი.

მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. და 35 წ. დ.
ბათუმიდამ მოდის — — 10 ს. და 25 წ. ღ.
ბაქოში მიდის — — — 10 ს. და 45 წ. ღ.
ბაქოდამ მოდის — — — 8 ს. ,, — ,, დ.

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის — 3 ს. და 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. და 24 წ. დ.

მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა:

ტფილისსა და კაჯკაჯ შუა.

პირდა-პირ მსვლელნი ღამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს.
კაჯკაჯში შედის — — 5 ს. 15 წ.
კაჯკაჯიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31

ღამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.
კაჯკაჯში შედის — 5 ს. 11; 6—43 საღ.
კაჯკაჯიდამ გამოდის 9 ს დილით.
ტფილისში მომოდის 4 ს. 44; 5—25 საღ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით რადგან მარტო ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით; მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

ქართულის დრამატიულის საზოგადოების წევრთა გამოეცხადებათ ამით, რომელ წესდების მე-13 და მე-17 მუხლების საფუძველზედ იქნება უჩვეულო საზოგადო ყრილობა დრამატიულის საზოგადოებისა ამა იანვრის 12 რიცხვსა, კვირას, 12 საათზე არწრუნისეულ თეატრის დარბაზში. ამისთვის მოიწვევიანწევრნი საზოგადოებისა.

თავმჯდომარე ქართულის დრამატიულის საზოგადოებისა თ. რაფ. ერისთავი.

(6—3)

ნ. ლიაძის

მოსამზადებელი სასწავლებელი

პანსიონითურთ.

გუდია, ანდრეევის ქუჩა № 13.

10—3)

გრ. ჩარკვიანის

ქართული წიგნის მაღაზიაში

ისტორია

ყოველგვარი ქართული წიგნები

ტფილისს: ლოლის - მელიქოვის ქუჩაზედ ზუბალოვის სახლებში გარეშე პირთათვის ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ Григорія Чарквіани. 3—2

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1886 ГОДЪ
на иллюстрированный армянскій журналъ

„АГБЮРЪ"

(4-й годъ изданія)
(въ годъ 12 номеровъ)

ПРОГРАММА

Отдѣлъ 1-й

I Повѣсти, разсказы, сказки путешествія, біографіи, поэмы, эпизоды.
II Стихотворенія.
III Наука и искусство.
IV Смѣсь.
VI Дѣтскія, педагогическія, шахматныя и другія игры, ребусы, математическія задачи, анекдоты, загадки, поговорки, пословицы.
VII Пѣсни съ нотами.

Отдѣлъ 2-й

VIII Статьи, касающіяся воспитанія и обученія дѣтей.
IX Проекты и совѣты.
X Библіографія.
XI Смѣсь.
XIII Отвѣты и объявленія.

Второй отдѣлъ будетъ издаваться отдѣльно въ годъ четыре раза. Годовые подписчики получаютъ двѣ преміи: въ іюлѣ и декабрѣ.

Первая премія: **Совѣщательная палата**: въ столицѣ Ани при царяхъ Армянскихъ изъ династіи Багратуни. Размѣръ картины одинъ аршинъ. Вторая премія: **Карта Арменіи**. Третья премія: развалины «**Храма пастуха**» въ столицѣ Ани. Размѣръ картины полтора аршина.

Годовая цѣна «Агбюра» 3 рубля, за полгода 2 рубля. Отдѣльные номера 50 коп.

Адресъ: Тифлисъ. Въ Редакцію журнала «Агбюръ».

въ городѣ карсѣ.
ВЪ КАНЦЕЛЯРІИ ВОЕННАГО ГУБЕРНАТОРА
Карсской Области
ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА ГАЗЕТУ

„КАРСЪ"

на будущій 1886 годъ.

газета «КАРСЪ» въ 1886 году будетъ издаваться на тѣхъ-же основаніяхъ, какъ и въ текущемъ году. по тойже программѣ и подъ тою-же редакціею.

условія подписки

съ доставкою и пересылкою въ годъ три рубля, въ четыре мѣсяца одинъ рубль.

Подписка принимается въ Канцеляріи Военнаго Губернатора, куда адресуютъ свои требованія и иногородные.

Газета «КАРСЪ» имѣетъ ближайшею цѣлью всестороннее изученіе Карсской Области и распространеніе въ обществѣ вѣрныхъ и точныхъ свѣдѣній, какъ о нынѣшнемъ ея состояніи, такъ и о мѣропріятіяхъ, направленныхъ къ ея благоустройству. Цѣль эта можетъ быть достигнута въ той мѣрѣ, въ какой лица, имѣющія, по своему положенію, возможность собирать свѣдѣнія по тѣмъ или другимъ вопросамъ, касающимся Области, ея населенія и расположенныхъ въ ея предѣлахъ частей войскъ, выразятъ свое сочувствіе газетѣ и пожелаютъ оказать ей редакціи просвѣщенное свое содѣйствіе сообщеніемъ имѣющихся въ рукахъ свѣдѣній и матеріаловъ, а потому редакція убѣдительно проситъ этихъ лицъ не отказать ей въ своемъ участіи.

ОТКРЫТА ПОДПИСКА
на 1886 годъ
на армянскую ежедневную, политико-литературную газету

„НОРЪ-ДАРЪ".

(III годъ изданія)

Газета въ 1886 году будетъ выходить по прежней программѣ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкою и пересылкою на годъ 10 р., на шесть мѣсяцевъ 6 р., на 3 мѣсяца 3 р. 50 коп., на 1 мѣсяцъ—1 р. 50 коп.

Подписка принимается съ 1-го числа каждаго мѣсяца.

Подписка и объявленія (по 2 коп. за слово на всѣхъ языкахъ и съ переводомъ на армянскій) принимаются исключительно въ конторѣ редакціи «НОРЪ-ДАРЪ».

Редакція «Норъ-Даръ» помѣщается за почтою, на Троицкой улицѣ, противъ Троицкой церкви, № 10.

Иногородные адресуются: Тифлисъ. Редакція «Норъ-Даръ».

Редакторъ издатель С. Спандарянцъ.

(5—4)

Дозволено цензурою Тифлисъ 8 января, 1886 года ექვთიმე ი. ხელაძის სტამბა სასპრნის ქუჩაზე, საკუთარ სახლებში. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.